ნანა გაფრინდაშვილი,
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

განვითარების კონცეფცია

2020

თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტაბილური განვითარების წინაპირობები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველო ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების გზით თავს იმკვიდრებს, როგორც მსოფლიო საზოგადოების ღირსეული წევრი. ამ ვითარებაში ქვეყნისათვის პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს მუდმივი ზრუნვა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებაზე, რაც როგორც ქვეყნის, ასევე ქართული საზოგადოებისადა მისი თითოეულიწევრისგანვითარებისა და კონკურენტიანობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ქვეყნის წინსვლის სტრატეგიაში განათლება და ადეკვატური საკადრო პოტენციალის განვითარება და მხარდაჭერა უპირველესი პრიორიტეტია.

დღევანდელ ეპოქაში უნივერსიტეტებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქვეყნის თანამედროვე ინტელექტუალური მოთხოვნების შესაბამისი საკადრო რესურსების შექმნასა და ჩამოყალიბებაში.საკუთარი ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემა „ინტელექტუალური კაპიტალის" შექმნის მნიშვნელოვანი გარანტია და წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებას და განვითარების იმ საფეხურის მიღწევას, როდესაც ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც შესაბამის განათლებასა და კვალიფიკაციას მიიღებს, გახდება მოთხოვნადი სპეციალისტი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდან დღემდე განსაზღვრავს ქართული მეცნიერებისა და განათლების დონესა და მიმართულებას. ეს ქართულ აკადემიურ სივრცეში უკვე ტრადიციულად ქცეული პასუხისმგებლობაა. თსუ-მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანის როლი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი „ასაკით" თსუ-ს ტოლია. ტრადიციები, რომელთაც საფუძველი თსუ-ს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაეყარა, დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გრძელდება. მისი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია გლობალური საგანმანათლებლო ტენდენციებისა და ეროვნული ტრადიციების ჰარმონიული შერწყმა დაფაკულტეტის, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასწავლო-სამეცნიერო კერის,დაწინაურება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩვენ მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების კონცეფციის მიხედვით დღეს ფაკულტეტი ორიენტირებულია არა თსუ-ს ძველი დიდებით ტკბობაზე, არამედ მომავალ განვითარებაზე. საყოველთაოდაა ცნობილი ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც ქართული საზოგადოების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, ინოვაციური ბირთვის ფორმირებაში აქვს შეტანილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომელსაც თსუ-ს რეფორმამდელი ჰუმანიტარული პროფილის მქონე ფაკულტეტებისმსგავსად წინ მიჰყავს ქართული საზოგადოება და უზრუნველყოფს მის მომავალ განვითარებას.

ფაკულტეტის ხვალინდელ დღესგანსაზღვრავს როგორც მისი დღევანდელი განვითარების ტენდენციები, ისე მისი ტრადიციული, ასწლოვანი ტრადიციები.

ფაკულტეტის განვითარების დღევანდელი სტადია შეიძლება შევაფასოთ, როგორც სოციალური და აკადემიური სიმწიფის ხანა. ფაკულტეტის სოციალური სიმწიფის მაღალი ხარისხი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

მომავალი განვითარების საუკეთესო წინაპირობა და ის მნიშვნელოვანი ბაზაა, რომელსაც შეიძლება დავაფუძნოთ ფაკულტეტის მომავალი განვითარების პროგნოზი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ვითარება

(სტუდენტები, პროფესურა, საგანმანათლებლოპროგრამები, სასწავლო-სამეცნიეროდაადმინისტრაციულიერთეულები)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ისტორიული ნაწილია, თუმცა იგიმუდმივად იცვლებოდა, იხვეწებოდა, ხდებოდა უფრო მოქნილი, რათა ადეკვატურად ეპასუხა ეპოქის გამოწვევებისათვის.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2005 წელს შეიქმნა ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის, ისტორიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტების გაერთიანების გზით. ექვსივე ფაკულტეტს თსუ-ში არსებობის ხანგრძლივი ისტორია, ტრადიციები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი წარმატებები და პოტენციალი ჰქონდა. ახალშექმნილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო როგორც ამ ტრადიციების შენარჩუნება და მიღწევების გამრავლება, ასევე მის შემადგენლობაში მოხვედრილი ტრადიციული ფაკულტეტების ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით წინსვლა და შემდგომი განვითარება.

ფაკულტეტზე ამჟამად ფუნქციონირებს 77 საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორის 29ძირითადი სპეციალობის (major) საბაკალავრო პროგრამა, რომელთა შორის 4სახელმწიფოს მიერ პროგრამულად დაფინანსებული სპეციალობაა და 4 დამატებითი სპეციალობის (minor) საბაკალავრო პროგრამა, რომელთაც შესატყვისი ძირითადი პროგრამები არ აქვთ, 34 სამაგისტრო პროგრამა,10 სადოქტორო პროგრამა და მათგან ერთი (ევროპული ლიტერატურა) - საერთაშორისო ერთობლივი პროგრამაა და ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი) კონტიგენტისთვის.

ამჟამად ფაკულტეტზე სწავლობს 5000-მდე სტუდენტი, მუშაობს 186 პროფესორი და 250-მდე მოწვეული ლექტორი.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 19 სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, 8 სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრი. ყველა მათგანი ემსახურება ჰუმანიტარულიდარგების განვითარებასა და პოპულარიზებას, სწავლებასა და კვლევას.

ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული პრიორიტეტები და მისი განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები მჭიდროდ უკავშირდება როგორც შიდა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო, ასევე გარე ფაქტორებს, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკას.

ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრინციპის ერთიანობას.მათ შორის უნდა გამოვყოთ: მენეჯმენტი, ტექნოლოგიები, დიდაქტიკური მიდგომები, სტუდენტების შეფასების სისტემები, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო

პროცესის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განვითარება, მეცნიერების კომერციალიზება, პროფესორთა კორპუსი, საინფორმაციო ბაზა და სხვ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, როგორც, ერთი მხრივ, დიდი ტრადიციებისა და, მეორე მხრივ, მომავლის მნიშვნელოვანმაჰუმანიტარულმა საგანმანათლებლო კერამ, ფეხი უნდა აუწყოს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. ფაკულტეტმაუნდა გაითვალისწინოს:

ა. გლობალიზაციის გამოწვევები, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო სისტემაში და შრომით ბაზარზე არსებული კონკურენციის საერთაშორისო ასპარეზზე გადატანისპერსპექტივას და საუნივერსიტეტო განათლების ექსპორტს(მომავალში ეს პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდება)

ბ. ცივილიზაციის განვითარების დაჩქარებულიტემპები, რამაც რეალურად უკვე დაგვაყენა საგანმანათლებლო ციკლის შემოკლების აუცილებლობის წინაშე.

გ. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არნახული ტემპებით განვითარება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების შესაძლო ვარიანტებიდან შეიძლება გამოვყოთ ორი გზა: ინერციული განვითარებისა და ელიტურ-კლასიკური განვითარების.

პირველი მათგანი ფაკულტეტს მიიყვანს კონსერვაციამდე. შეამცირებს მის კონკურენტუნარიანობას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უცვლელი დარჩება ფაკულტეტის სტრუქტურა, საკადრო პოლიტიკა, აკადემიური პროგრამები, დაფინანსების პრინციპები და სხვ. ინერციული განვითარების გზით წასვლა გამოიწვევს ინოვაციური ფუნდამენტური კვლევებისადმი ინტერესის შესუსტებას, ფაკულტეტის გავლენის შესუსტებას ქართული საგანმანათლებლო სივრცის მასშტაბით, რადგან შესაძლოა დაწინაურდნენ კონკურენტი უნივერსიტეტების შესაბამისი პროფილის ფაკულტეტები, შეუსაბამობის გაღრმავებას საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და ბაზრის მოთხოვნებს შორის და ა. შ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის, რომელიც დინამიკურად განვითარებადი, კონკურენტუნარიანი, საქართველოსა და მთელ რეგიონში აღიარებული და ანგარიშგასაწევი სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსია თავისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პოტენციალით, სტაბილური მატერიალური ბაზითა და სწავლების სრული ციკლით, უფრო ბუნებრივი, ტრადიციული და პერსპექტიული ელიტურ-კლასიკური განვითარების გზაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც თავისი არსებობის საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში კლასიკური ტიპის უნივერსიტეტი იყო.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ერთი ტენდენციაც. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში დიდია საუნივერსიტეტო განათლების მქონე თუ მსურველი ადამიანების რაოდენობა. ფაკულტეტმა უნდა შეძლოს, გამონახოს შესაბამისი ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რათა მოახერხოს საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, რასაკვირველია, ის ვერ იქნება მზად მასობრივად შესთავაზოს საგანმანათლებლო სერვისები საზოგადოებას.საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება არ უნდა მოხდეს საგანმანათლებლო დონის დაცემისა და ელიტურ-კლასიკური განვითარების მოდელზე უარის თქმის ფასად.აბიტურიენტების სელექციის საფუძველი კვლავ უნდა იყოს მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებულ ყველა საგანში, რაც საუკეთესო

გარანტიაა, რომ ფაკულტეტზე სტუდენტებად ჩაირიცხებიანშედარებით მაღალი ინტელექტისა და განათლების მქონე ახალგაზრდები.

ფაკულტეტმა მომავალშიც უნდა დააკმაყოფილოს გამკაცრებული მოთხოვნები „ელიტურობის" სტატუსის შესანარჩუნებლად. ამიტომ ფაკულტეტმა გაზრდილი მოთხოვნები უნდა წაუყენოს თავის პროფესორებს, უნდა აამაღლოს აკადემიური და სამეცნიერო დონე, უნდა გაზარდოს მოთხოვნები სტუდენტებისადმი, აბიტურიენტებისადმი, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის დონისა და სწავლების ხარისხისადმი, ინფრასტრუქტურისა და საუნივერსიტეტო სერვისებისადმი, უნდა შეეცადოს, დააბრუნოს „ტვინების გადინების" შედეგად უცხოეთში წასული ქართული სამეცნიერო და აკადემიური კადრები და გამოიყენოს მათი პოტენციალი ფაკულტეტის გასაძლიერებლად, ხელი შეუწყოს უცხოელ მეცნიერებთან ერთად წარმატებული სამეცნიერო კვლევების წარმართვას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწავლების მესამე საფეხურს - დოქტორანტურას, აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული ინტერნაციონალიზაციის ყველა შესაძლებლობა: უცხოელი თანახელმძღვანელი, უცხოელი ოპონენტი, ნაშრომების დაბეჭდვა უცხოეთში,ისეთმაღალრეიტინგულსაერთაშორისოჟურნალებში (ანსაკონფერენციომასალებში), რომლებიცვრცელდებასაერთაშორისომასშტაბით, ღია არისსაერთაშორისოთანამშრომლობისთვის დაინდექსირებულია Scopus-ისან Web of Science-ის ბაზებში ან ERIH PLUS-შიქართველოლოგიისდაკავკასიოლოგიისმიმართულებების დოქტორანტებისათვის.

ფაკულტეტმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლების განვითარებას. მან გლობალურ სამეცნიერო სივრცეს წარმატებით შეიძლება შესთავაზოს ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური სამეცნიერო დარგები და რეალური პერსპექტივები აქვს, წამყვანი პოზიციები დაიკავოს ისტორიის, ფილოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტურის კვლევების, ხელოვნებათმცოდნეობის და ფილოსოფიის მიმართულებითაც.

ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერისათვის საჭიროა ვიზრუნოთ მეცნიერების კომერციალიზაციაზე. მართალია, ამ თვალსაზრისით მოგება ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან მცირეა სხვა დარგებთან შედარებით, თუმცა არის გარკვეული დარგები და სფეროები, რომელთა გამოყენება ამ კუთხით შეიძლება ფაკულტეტის ბიუჯეტისათვის მნიშვნელოვანი თანხის მოზიდვის საფუძველი გახდეს.

ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა უნდა შეესატყვისებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომ საჭიროა მისი შეცვლა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტითავის მისიას ხედავს ეროვნული და საკაცობრიო სულიერი ფასეულობების შენარჩუნებასა და ჰარმონიზებაში, ტრადიციების შენარჩუნებასა და ინოვაციების დანერგვაში; თავისი საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში.თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისუპირველესი ამოცანა ჰუმანიტარული ცოდნის შექმნა და გავრცელებაა.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზანია, იყოს საუნივერსიტეტო კულტურის ეტალონი და თავისი წვლილიშეიტანოს ეროვნული სოციალური კულტურის ამაღლებაში, განამტკიცოს ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი ტოლერენტობის სტადარტები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს საქართველოში ჰუმანიტარული ცოდნის გენერირებისა და ტირაჟირების უმნიშვნელოვანესი ცენტრისა და ინტელექტუალური ლიდერის ფუნქცია და ამასთან საზოგადოებას წარუდგინოს თანამედროვე

ისტორიულ ეტაპზე ადაპტაციის ახალი და წარმატებული მოდელები, რომლებშიც შენარჩუნებული იქნება ტრადიციული მსოფლმხედველობითი საფუძვლებიც და კულტურული იდენტობაც.

ფაკულტეტი უნდა გავხადოთ ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო სივრცე ბარიერების გარეშე და როგორ შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველას, მათ შორის შეზღუდული შესაძებლობების მქონე ადამიანების, ინტელექტუალური პოტენციალი ქართულ სოციო-კულტურულ სივრცეში.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ძირითადი მიზანია აკადემიური პერსონალისათვის, მკვლევრებისათვის, სტუდენტებისათვის სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის კომფორტული გარემოს შექმნა; მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა, რომლებსაც ექნებათ დროის შესატყვისი აკადემიური ცოდნა და ინტელექტუალურ სფეროებში მოღვაწეობის უნარი, დისციპლინათაშორისი კომპეტეციების ფართო სპექტრი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება; ფაკულტეტის განვითარების კონფეპტუალურ საფუძვლად კი კლასიკური და უახლესი ცოდნისა და მიღწევების შერწყმა და სინთეზი შევინარჩუნოთ.

განათლების ჰუმანიზების სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფაკულტეტზე განათლების ჰუმანიზებას, რაც გულისხმობს კადრების მომზადებას ჰუმანურ პრინციპებზე დაყრდნობით, სადაც პიროვნების სულიერი სიმდიდრე მისი არსებითი მახასიათებელი ხდება,განათლების სისტემაში ავტორიტარულ მეთოდებზე უარის თქმას და დემოკრატიული მიდგომების განუხრელად განვითარებას, სტუდენტის ჩამოყალიბებას, ერთი მხრივ, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულ პიროვნებად და, მეორე მხრივ, ღირსეულ, მაღალი სულიერების მქონე მოქალაქედ.

განათლების ჰუმანიზება განსაკუთრებით აქტუალური ხდება სუპერტექნოლოგიური ცივილიზაციით გამორჩეულ 21-ე საუკუნეში.

ჰუმანიზების კონცეფცია გულისხმობს:

- სტუდენტის პირადი შესაძლებლობებისა და ინდივიდუალობის წინ წამოწევას.
- პიროვნების შესაძლებლობების, ღირსების, უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.
- სწავლისა და კვლევისათვის კომფორტული პირობების შექმნას.
- სტუდენტების, პროფესორებისა და მკვლევრებისათვის ისეთი ოპტიმალური პირობების შექმნას, რომელშიც ისინი მაქსიმალურად გამოავლენენ თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობებს.

ფაკულტეტის დამოუკიდებლობის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში დიდი გამოცდილება დაუგროვდა:იყო შემთხვევები, როცა საუნივერსიტეტო ცხოვრების ავტონომიური მოდელი ავტორიტარულით შეიცვალა და,პირიქით,ავტორიტარული - ავტონომიურით. ასეთი არასასურველი და ერთგვარი ციკლური პროცესების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება საუნივერსიტეტო სისტემის, უნივერსიტეტის ავტონომიისგანუხრელი განვითარება,საზოგადოების, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის დემოკრატიულ და პროგრესულ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობების სრულყოფა, რათა სისტემას ჰქონდეს სოციალური ნდობის მაღალი ხარისხი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფაკულტეტის ავტონომია. იგი ფაკულტეტის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და მისი სრულყოფისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის ინსტუტუციური მზაობა ფაკულტეტის აკადემიური, ორგანიზაციული, ფინანსური და საკადრო დამოუკიდებლობისათვის.

საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ცხოვრების ნორმალურ ჩარჩოებში მოსაქცევად მეტად მნიშვნელოვანია, რომ,ერთი მხრივ, უნივერსიტეტმა და, მეორე მხრივ, ფაკულტეტმათავიანთი თავისებურებების გათვალისწინებით თავის თავზე აიღონპასუხისმგებლობა ყველა იმ სამუშაოს შესახებ, რომლებიც მათ წიაღში ტარდება.

ფაკულტეტების ავტონომიის უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, რადგან მისი შვიდი ფაკულტეტი თავიანთი სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალით, აკადემიური პროგრამების შინაარსითა და იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ ყველასადმი უნიფიცირებული მიდგომა არც საერთო-საუნივერსიტეტო საქმეს წაადგება და არც ფაკულტეტების შემდგომ განვითარებაზე აისახება დადებითად. მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლები (სტუდენტთა გამოკითხვა და შეფასებები, პროფესორთა ციტირების ინდექსი, პუბლიკაციები იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში, სტუდენტთა დასაქმების ინდექსი და სხვ.) არ წარმოადგენს საკმარის კრიტერიუმებს ფაკულტეტის შესაფასებლად. ფაკულტეტის შეფასებაში აუცილებელად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ როგორ ახდენს ის დისკურსის გენერირებას, მართავს დისკუსიებს საზოგადოების ფართო მასების ჩართულობით და ქმნის ეროვნული ინტელიგენციის ხერხემალს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონზე დაყრდნობით და საუნივერსიტეტო საზოგადოებასთანშეთანხმებით მომავალში კვლავ უნდა გააგრძელოს ზრუნვა დეცენტრალიზებაზე,ფართო ავტონომიის მოსაპოვებლად და განსახორციელებლად.

მართვის დეცენტრალიზება და მათ შორის ფინანსების მართვის დეცენტრალიზებულ მოდელზე გადასვლა ხელს შეუწყობს ეფექტიანობის გაზრდას.

თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრება წარმოუდგენელია უნივერსიტეტისა და მისი ფაკულტეტების ავტონომიის კონცეფციის რეალიზების გარეშე.

სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- განუხრელი ზრუნვა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი მოდერნიზება, რათა ისინი შეესაბამებოდნენ და აკმაყოფილებდნენ თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს.
- ფაკულტეტზე ისეთი „არაკომერციული“ და მცირეკონტინგენტიანი საგანმანათლებლო პროგრამების შენარჩუნება და განვითარება, რომლებზეც შრომით ბაზარზე დიდი მოთხოვნა არ არის, მაგრამ უნივერსიტეტისათვის ტრადიციულია, ხოლო ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი.
- პოტენციური დამსაქმებლის აქტიური ჩართვა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზებისა და ახალი პროგრამების შექმნის პროცესში მათი და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების პრობლემის გაადვილების

მიზნით.

- პოტენციური დამსაქმებლების პარტნიორული ქსელის შექმნა და სტუდენტებთან მათი აქტიური დაკავშირების ხელშეწყობა.
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოქმედი პროგრამების მოდერნიზებისას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მჭიდრო ინტეგრირება.
- უნდა დაიხვეწოს დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია და გაიზარდოს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებში ელექტრონული სწავლების წილი.
- აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისათვის არდადეგების დროს ე.წ. ზაფხულისა და ზამთრის სემესტრების შეთავაზება, რათა მათ შეეძლოთ დარჩენილი საგნების ინტენსიური კურსების ფორმით გავლა და დამატებითი სემესტრის თავიდან აცილება.
- ინფორმაციის ციფრული და ქაღალდის ტექნოლოგიების რაციონალური შერწყმა და ინფორმაციის ციფრული მატარებლებისათვის უპირატესობის მინიჭება.
- სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება.
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროცესში.
- „ერთჯერადი წიგნის" პროექტის განხორციელებისათვის საფუძვლების მომზადება, როცა სტუდენტი ამა თუ იმ სამეცნიერო პროექტზე მუშაობისას განსაზღვრავს პრობლემის შესასწავლად საჭირო მასალების ჩამონათვალსა და მოცულობას და მოხდება ამ მასალების გადატანა ციფრულ მატარებელზე კონრეტული სტუდენტისათვის საჭირო „პერსონალური წიგნის შესაქმნელად", რაც ფინანსურადაც მომგებიანი და აკადემიურად ხელსაყრელიიქნება.
- სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა ელექტრონული სასწავლო კურსებითა და მასალებით.
- ელექტრონული კურსების სრულყოფა და საგანმანათლებლო პროგრამებში მათი აქტიური ჩართვა.
- თანამედროვე და აქტუალური ჰუმანიტარული დარგების განვითარების ხელშეწყობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნითა და ამუშავებით.
- შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება სასწავლო პროცესში.
- ვირტუალურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდებისგამოყენების პირობებში სილაბუსებში პრაქტიკული მეცადინეობების ხვედრითი წილის პროპორციული გაზრდა.
- სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო თუ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირების დაწესება.
- გარანტირებული აკადემიური თავისუფლება სტუდენტებისა და პროფესორებისათვის.
- არჩევითი საგნების, თავისუფალი კრედიტების, ძირითადი და დამატებითი სპეციალობების მრავალგვარი კომბინირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რათა სტუდენტმა მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი აკადემიური ინტერესები და უფრო წარმატებული გახდეს შრომით ბაზარზე.
- საგანმანათლებლო პროგრამებისშემუშავებისას21-ე საუკუნის შრომითი ბაზრის ახალი ტენდენციებისა და მოთხოვნების გათვალისწინება;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის კონტროლის სისტემისა და მექანიზმების

დახვეწა.

➢ სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნისა და მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელოების თარგმნის ხელშეწყობის გაგრძელება.

➢ ეფექტიანი ღონისძიებების გატარებაპროფესორთა მაღალკვალიფიციური კადრების მოსაზიდად.

➢ ფაკულტეტისპროფესურის ჩართვაყმაწვილთა უნივერსიტეტამდელ განათლებაში(ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება საჯარო სკოლებთან, „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის"საქმიანობის გაფართოება და სხვ.).

➢ ფაკულტეტის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის გამდიდრება.

➢ სტუდენტების სეზონური სკოლების,სამეცნიერო ექსპედიციებისა და სასწავლო პრაქტიკის, როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტების, შემდგომი დახვეწა და ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

➢ ფაკულტეტზე მუდმივად უნდა იქმნებოდეს ახალი ცოდნა და ხდებოდეს მისი გადაცემა და გავრცელება და მეცნიერული კვლევების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა.

➢ ფაკულტეტისათვის პროპრიტეტული უნდა იყოს ფუნდამენტური და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა.

➢ ფაკულტეტისათვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა.

➢ ფაკულტეტისათვის უმიშვნელოვანესია „არაკომერციული" სამეცნიერო მიმართულებების ხელშეწყობა, რომლებიც უნივერსიტეტისათვის ტრადიციულია, ხოლო ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი.

➢ ფაკულტეტიმუდმივად უნდა ზრუნავდეს როგორც არსებულტრადიციულსამეცნიერო სკოლების შენარჩუნებაზე, ასევე ახალი სამეცნიერო სკოლების შექმნაზე.

➢ ფაკულტეტი უნდა ქმნიდეს პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების პირობებს და თანამედროვე სტანდარტების შესატყვის მაღალ მოთხოვნებს უყენებდეს ფაკულტეტზე შექმნილ სამეცნიერო პროდუქციას.

➢ ფაკულტეტისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა, მათი უნივერსიტეტში დასაქმების ხელშეწყობა.

➢ ფაკულტეტზე უნდა ხდებოდეს სხვადასხვა თაობის მეცნიერთა ჰარმონიულითანამშრომლობის ხელშეწყობა.

➢ ფაკულტეტის შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა შეძლონპროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტის სამეცნიერო პოტენციალის შეფასების მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შემდგომი დახვეწა.

➢ უმნიშვნელოვანესია პროფესორისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა.

➢ ფაკულტეტისათვის, როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულისათვის, სასიცოცხლოდ აუცილებელია ინოვაციურცოდნაზე, ხარისხსადაშედეგზეორიენტირებულისამეცნიეროკვლევებისგანხორციელება, აქტუალური და

პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრა და მათი განვითარების ხელშეწყობა.

➢ მეცნიერების განვითარებისათვის დამატებითი სტიმული იქნება ფინანსური რეზერვების მოპოვება და შიდა საუნივერსიტეტო გრანტების კვალდაკვალ შიდა საფაკულტეტო საგრანტო სისტემის შექმნა და ამუშავება.

➢ საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტური მეცნიერების განვითარება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამივე საფეხურის სტუდენტების აქტიურად ჩართვა სამეცნიერო წრეების, სამეცნიერო კონფერენციების, სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობაში.

➢ ფაკულტეტმა საგანგებო ღონისძიებები უნდა გაატაროს დოქტორანტთა სამეცნიერო პოტენციალის ასამაღლებლად, მათი ნაშრომების მიმართ მოთხოვნები უნდა ამაღლდეს და უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

➢ ფაკულტეტმა უნდა იზრუნოს ძველი სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირების გამყარებაზე და ახალი კავშირების დამყარებაზე როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან.

➢ ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალის გასაძლიერებლად სასურველია უცხოელი და უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების მოზიდვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესში მათი ჩართვის მიზნით.

➢ მნიშვნელოვანია სამეცნიერო პროექტების დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება და საჭიროების შემთხვევაში საგრანტო კვლევითი პროექტების თანადაფინანსების უზრუნველყოფა.

➢ ფაკულტეტმახელი უნდა შეუწყოს უკვე არსებულ მაღალრეიტინგულსაერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებს და პარალელურად იზრუნოს ახალი ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალების შექმნაზე, რომლებიცშეძლებენ საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების სტატუსის მოპოვებას.

➢ ფაკულტეტზე სისტემატურად უნდა ხდებოდეს საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება.

➢ ფაკულტეტმა უნდა მოახერხოს მეტი ფინანსების მობილიზება, რომ შეძლოს პროფესურისა და სტუდენტების მეტი ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისოსამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციების, სემინარების მუშაობაში.

➢ ფაკულტეტის სამეცნიერო ცხოვრებისათვის პროდუქტიული იქნება შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება.

➢ მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მუშაობის სრულყოფა და სამეცნიერო პუბლიკაციების დონის ამაღლება;

➢ მნიშვნელოვანია კიდევ უფრო გაიზარდოს პროფესორთა, მკვლევართა და სტუდენტთა საგრანტო აქტიურობა როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

➢ ფაკულტეტმა მომავალშიც უნდა შეუწყოს ხელი პროფესორთა და მკვლევართა ჩართვას მნიშვნელოვან სამეცნიერო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში, კონფერენციებში, საბჭოებში და სხვ. ექსპერტების, მომხსენებლებისა და სხვ. სტატუსით.

➢ აუცილებელია ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდასაჭერად.

➢ ფაკულეტმა უნდა იზრუნოს, რომ მის წიაღში წარმოებულ სამეცნიერო კვლევებში დაცული

იყოს აკადემიური ეთიკის მაღალი სტანდარტები. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისაკადემიური და სამეცნიერო საქმიანობაეფუძნებოდესკეთილსინდისიერებასდაპატიოსნებას დახელს უწყობდესსაზოგადოებაშიუნივერსიტეტისავტორიტეტისგანმტკიცებას.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ფაკულტეტის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის საჭიროა კვლევისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის განუხრელი ხელშეწყობა, რაც ემსახურება კვლევისა და განათლების დონის ამაღლებას, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს არა მხოლოდ ჩვენი რეგიონის, არამედ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია:

- მაღალ თანამედროვე სტანდარტზებზე ორიენტირებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.
- სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- უცხოურ უნივერსიტეტებთან სამივე საფეხურის ერთობლივი პროგრამების შექმნა და ამუშავება.
- უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლებაზე განუხრელი ზრუნვა, რათა ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს მეცნიერების თანამედროვე მიღწევები.
- საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა.
- სტუდენტების, პროფესორებისა და მკვლევრების მეტად ჩართვა სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო და კვლევით პროექტებში და გაცვლით პროგრამებში.
- ფაკულტეტის სტუდენტების, პროფესორებისა და მკვლევრების საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ხელშეწყობა.
- უცხოელი პროფესორების მოწვევა სალექციო კურსების წასაკითხად.
- ჩვენი პროფესორების მივლინება უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წასაკითხად.
- უცხოეთის ქართველოლოგიურ ცენტრებთან კავშირების განმტკიცება.
- ახალი უცხოენოვანი პროგრამებისა და სალექციო კურსების შემუშავების ხელშეწყობა.
- უცხოურ საგანმანათლებლო ცენტრებთან კავშირების გააქტიურება.
- სტუდენტური გაცვლითი პროგრამებისა და მობილობის ხელშეწყობა.
- მაღალრეიტინგულსაერთაშორისოჟურნალებშიპუბლიკაციების ხელშეწყობა, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვისმნიშვნელოვანი ღონისძიებები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც აუცილებელია ფაკულტეტის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

- უნდა გაგრძელდეს მუშაობა ფაკულტეტის თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის აუცილებელი სხვა ტექნიკური საშუალებებით აღსაჭურვად.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა თსუ მე-5 და მე-8 კორპუსების რეაბილიტაციის დასაგეგმად და

განსახორციელებლად.

- უნდა გაგრძელდეს მუშაობა ცნობილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების ელექტრონული გაზეების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა საბიბლიოთეკო ფონდების შესავსებად უახლესი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.
- მნიშვნელოვანია ზრუნვა სტუდენტთათვის დამოუკიდებელი მუშაობის ადგილების გამოყოფისა და მოწყობისათვის,
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა ელექტრონული და დისტანციური სწავლების ეფექტიანი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით.
- მნიშვნელოვანია ელექტრონული სახელმძღვანელოების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების გამოცემის პოლიტიკის დახვეწისა და ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.
- სისტემატური მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ფაკულტეტის ვებგვერდის გასაუმჯობესებლად და მისი სრულყოფილი ინგლისურენოვანი ვერსიის შესაქმნელად.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობაყველა იმ სტუდენტისა და პროფესორის საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც ეს სჭირდებათ.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კორპუსებში კვების ობიექტების მოსაწყობად.

სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა

მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება ფაკულტეტის განვითარების უმნიშვნელოვანესი პარამეტრია. სტუდენტები, მიუხედავად დატვირთული სასწავლო გრაფიკისა, აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ფაკულტეტის ცხოვრებაში, აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ფაკულტეტის მართვაში და მონაწილეობას უნდა იღებდნენ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში. სტუდენტური ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეთმობოდეს სტუდენტთაკულტურული ცხოვრებისგანვითარებას, მათი შემოქმედებითი და სპორტული უნარების რეალიზებას.

სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა:

- სტუდენტზეორიენტირებულისაუნივერსიტეტოგარემოსგაუმჯობესება.
- სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა.
- სტუდენტების პროფესიულ, პიროვნულ და შემოქმედებით განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.
- სტუდენტთა ინიციატივებისა და კრეატიულობის მხარდაჭერა და წახალისება.
- სტუდენტების სამართლებრივი და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.
- სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.
- სტუდენტთა შემოქმედებითი და სპორტული კოლექტივების მხარდაჭერა.
- სტუდენტებთან თანამშრომლობის ფორმების დახვეწა.
- კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე ზრუნვა.
- ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან კონტაქტების გააქტიურება და მათი ჩართვა საფაკულტეტო ცხოვრებაში.
- სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა.

მმართველობითი სტრუქტურების მუშაობის, სოციალური და საკადრო პოლიტიკის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების განუხრელად გაძლიერება.
- ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და არჩეული ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება.
- ფაკულტეტისადმინისტრაციის საშტატო სტრუქტურის ეტაპობრივი ოპტიმიზება.სხვადასხვა დონის მმართველობითი სტრუქტურების ფუნქციების, უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობების მკვეთრი გამიჯვნა, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება.
- პროფესორთა შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობის გაგრძელება, რათა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურის ხელფასების ოდენობა გაუთანაბრდეს მაღალანაზღაურებადი ფაკულტეტების პროფესურის ხელფასს.
- ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდა.
- მიმზიდველი საუნივერსიტეტო გარემოსა და პროფესურისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნაზე ზრუნვა.
- წარმატებული უცხოური უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების გამოცდილების შესწავლა და მათი დანერგვა ფაკულტეტის საქმიანობაში.
- პროფესორთა და ფაკულტეტის სხვა თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისა და სოციალური მხარდაჭერის მეთოდების დახვეწა.
- ფაკულტეტზე მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოზიდვის ხელშეწყობა.

ფაკულტეტის პოზიციონირებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- ფაკულტეტის პოზიციონირება, როგორც მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე სტრატეგიული პარტნიორისა, სამივე საფეხურის ჰუმანიტარული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჰუმანიტარული სამეცნიერო კვლევების განვითარების თვალსაზრისით.
- საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო რესურსების გამოყენება ფაკულტეტის საქმიანობის პოპულარიზების მიზნით.
- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სოციალური მიმართულების თავისებურებების, მისი სოციალიზაციის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი დახვეწის, განვითარებისა და სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზების მიზნით სოციალურ პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება.
- საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობების გააქტიურება ფაკულტეტის მიღწევების გაშუქების უზრუნველყოფის მიზნით.
- ფაკულტეტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო, სასწავლო და კულტურული ღონისძიებების ფართოდ რეკლამირება და გაშუქება სხვადასხვა საიტზე, ინტერნეტგამოცემაში, სოციალურ ქსელში, რათა მოხდეს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისაკენ.
- მიზნობრივი გასვლითი ახალგაზრდული სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება რეგიონებში, რათა ახალგაზრდები დავაინტერესოთ ჰუმანიტარული მეცნიერებებით.

- ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მუშაობის გაფართოება და რეკლამირება.
- პროფორიენტაციული ხასიათისღონისძიებების ჩატარებაფაკულტეტზე აბიტურიენტების

მოზიდვის მიზნით.

კრიზისის მართვის სტრატეგია

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფაკულტეტის მზაობის უზრუნველყოფას კრიზისული სიტუაციებისათვის (ბუნებრივი კატასტროფები, ტერორისტული თავდასხმები, ეპიდემიები და პანდემიები და სხვ.), რაც გულისხმობს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესურისა და ადმინისტრაციის მომზადებას, რათა მათ შეძლონ სწავლა-სწავლებისა და ადმინისტრაციული საქმიანობის სრულფასოვანი გაგრძელება შექმნილ ვითარებაში. რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალდეს, უზრუნველყოს ფაკულტეტზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მართვა. იზრუნოს თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯანმრთელობაზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ინსტიტუციის ქონებასა და რეპუტაციაზე.

ამ ვითარებაში უნდა ამუშავდეს განვითარებისა და ექსპანსიის სტრატეგია(გამარჯვებულის სტრატეგია), რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს დადებითი დინამიკის მიღწევაზე. ფაკულტეტმა თავისი საქმიანობა უნდა მიმართოს არსებული პოტენციალის შენარჩუნებისაკენ, ამავე დროს უნდა გამოიყენის კრიზისული პერიოდი სტრატეგიული ნახტომისათვის. რადგან კრიზისი, ერთი მხრივ, თუ და ახალი საფრთხეებია, მეორე მხრივ, უნიკალური შესაძლებლობაა რადიკალური და მასშტაბური ცვლილებებისათვის (მაგ., ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის პირობებში ფაკულტეტი უმოკლეს დროში გადავიდა ელექტრონულ სწავლებაზე).

ფაკულტეტის ადამიანური და ტექნიკური პოტენციალის მომზადება კრიზისულ ვითარებაში მუშაობისათვის მეტისმეტად აქტუალური ხდება მოულოდნელი გამოწვევებით გამორჩეულ 21-ე საუკუნეში (განსაკუთრებით ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის შემდეგ).

ფაკულტეტზე კრიზისის მართვის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს:

- ✓ არსებული ცუდი პირობების გაუარესების თავიდან აცილება და ვითარების გაჯანსაღება.
- ✓ სტუდენტების, პროფესორებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მომზადება, რათა მათ თავიანთი ცხოვრების წესი და საქმიანობა მოარგონ შეცვლილ გარემო-პირობებს.
- ✓ ზოგიერთი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რეგულაციის სრულყოფა მათი ახალ ვითარებაზე მორგების მიზნით.
- ✓ კრიზისული პერიოდებისათვის დამახასიათებელი მომხმარებლის ქცევის ცვლილების გათვალისწინებით ახალი სტრატეგიების შემუშავება აბიტურიენტთა მოსაზიდად და პროფესურისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების შესანარჩუნებლად.
- ✓ სოციალური დისტანცირების აუცილებლობის შემთხვევაში ფაკულტეტის უმოკლეს ვადებში გადასვლა ელექტრონული სწავლების ფორმატზე;
- ✓ ხარისხის შენარჩულება შერეული (ასინქრონულ/სინქრონული) ელექტრონული სწავლების პირობებში.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
➢ ფაკულტეტზე წამყვანი სამეცნიერო სკოლების არსებობა. ➢ აქტიური და წარმატებული სამეცნიერო მუშაობა. ➢ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და ემერიტუსი პროფესორები, რომელთაგანაც ბევრი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა. ➢ ფაკულტეტის წარმატებული კურსდამთავრებულები. ➢ მყარი საერთაშორისო კავშირები. ➢ კვლევისა და სწავლების, საუნივერსიტეტო ცხოვრების ასწლოვანი ტრადიციების არსებობა. ➢ ფაკულტეტის მდებარეობა ისტორიულ შენობაში დედაქალაქის ცენტრში.	➢ საპენსიო ასაკს მიღწეული პროფესორების დიდი ხვედრითი წილი. ➢ უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობა. ➢ დაბალი ხელფასები.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ ახალი (მათ შორის უცხოენოვანი) პროგრამების ამუშავება. ➢ კურსდამთავრებულთა ჩართვა ფაკულტეტის ცხოვრებაში. ➢ საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება. ➢ ტექნიკური მოდერნიზება. ➢ ახალგაზრდა კადრების მოზიდვა. ➢ პროფესორთა ასაკის გაახალგაზრდავება. ➢ დამატებითი დაფინანსების წყაროების მოზიდვა. ➢ მეცნიერების კომერციალიზება.	➢ აბიტურიენტთა რაოდენობის შემცირება. ➢ მემკვიდრეობითობის დაკარგვა. ➢ ხანგრძლივი კრიზისული სიტუაციების არსებობა.

ნ. გაფრინდაშვილი

ნანა გაფრინდაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2020 წლის 26 მაისი